



რას წარმოადგენს ახალქალაქის განვითარების სტრატეგია (LDS)

ახალქალაქის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია წარმოადგენს ახალქალაქის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ეკოლოგიური განვითარების ხელშეწყობისა და მისი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხედვას.

როგორ შემუშავდა (LDS)

ადგილობრივი განვითარების სტრატეგია შემუშავებული იქნა ახალქალაქის მოსახლეობის ფართო ფენებთან, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და განსაკუთრებით, ახალქალაქის განვითარების ჯგუფის წევრებთან კონსულტაციების მეშვეობით.

მთავარი ამოცანები



ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიცირება, ადგილობრივი მოსახლეობის ინტეგრაცია და მუნიციპალიტეტის გადაქცევა უკეთეს საცხოვრებელ ადგილად.



ადგილობრივი შემოსავლის გაზრდა და ადგილობრივი ეკონომიკის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.



სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის და გენდერული თანასწორობის საკითხებზე ფოკუსით.



ადგილობრივი ტურიზმის პოტენციალის გაფართოება და ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია და მხარდაჭერა.



მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება და გარემოს დაცვითი პრაქტიკის დანერგვა.

გადამკვეთი სფეროები

ეკოლოგია და გარემოს დაცვა

გენდერი და ახალგაზრდობა

უმცირესობები და ინტეგრაცია

ინოვაცია

ეროვნული ენის პოპულარიზაცია

პროექტი “სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხელშეწყობა ახალქალაქში” ხორციელდება საქართველოში, სამცხე-ჯავახეთში, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD II) მხარდაჭერით.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: www.enpard.ge www.akhalkalakilag.ge